

სოფიო ტყეშელაშვილი

სილოვან ხუნდაკე  
დიალექტური ლექსიკის შესახებ

ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა ყოველი კონკრეტული ენის საფუძველს განსაზღვრავს. ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის ის სიტყვები, რომლებიც ქმნიან ლექსიკის ყველაზე ძველ და მკვიდრ ნაწილს. ეს არის ყველაზე აუცილებელი და სტაბილური ნაწილი ლექსიკისა (არნ. ჩიქობავა, 1952: 24-25, 184-186).

ლექსიკას, როგორც ენის საშენ მასალას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლექსიკის სიმდიდრე განსაზღვრავს ენის სიმდიდრეს, მაგრამ იგი განიზომება არა ერთი რომელიმე დარგის ლექსიკის სიმდიდრით, არამედ მისი მრავალფეროვნებითაც. რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო, მდიდარი და მრავალფეროვანია ენა. ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ცნობილია, ენაში ყველაზე ცვალებადია, რადგან იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ყოველგვარ საქმიანობასთან. „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე.ი. აზრიანობა, განმსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“, – წერდა ილია ჭავჭავაძე.

განსაკუთრებით ბევრი ახალი სიტყვა შექმნეს და დაამკვიდრეს ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ (სახელდობრ: მიმართულება, მოთხოვნილება, ღირებულება, წოდება, უფლება, დედაარსი, დიდკაცობა, უმაღლესი მთავრობა...), აკაკი წერეთელმა (სახელდობრ: გაიძვერა, ბობოლა, შეხმატკბილება...) (ზ. ქუმბურაძე, 2009: 64).

სალიტერატურო ლექსიკის გამდიდრების სხვა საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიტყვათა შემოტანას დიალექტებიდან და სწორედ აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს სალიტერატურო ენის კავშირი ცოცხალ კილოებთან. ზოგჯერ ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად დიალექტებს სულ სხვადასხვა სიტყვა გააჩნიათ, ე. ი. საქმე გვაქვს სინონიმებთან, რომელთაგან ერთი ერთ დიალექტში დასტურდება (და მასთან ერთად შესაძლოა სალიტერატურო ენაშიც), მეორე – სხვა დიალექტში ან დიალექტებში. ამგვარ სიტყვებს შესაძლოა სინონიმური დიალექტიზმი ვუწოდოთ.

ცხადია, რომ სინონიმურ დიალექტიზმთა შერჩევის დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. არ შეიძლება ამა თუ იმ სიტყვის ხელაღებით უარყოფა. ბევრი მათგანი გამოადგება სალიტერატურო ენას. დამკვიდრდება და გაამდიდრებს მის ლექსიკურ შემადგენლობას.

დიალექტური ფორმების ხმარების გასამართლებლად ზოგჯერ საილუსტრაციოდ მოჰყავთ მე-19 საუკუნის მწერალთა მაგალითები, კერძოდ, ილიასა და აკაკის შემოქმედება. თუმცა მათ მიერ ამგვარი ფორმების ხმარება არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცდა დიალექტიზმების გაბატონებისა სალიტერატურო ენაში. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ იმ დროს ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო.

სინონიმური დიალექტიზმების შერჩევასა და დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს და ქართული ენის უბადლო მცოდნეს სილოვან ხუნდაძეს. ის თვლიდა, რომ დიალექტიზმები ამდიდრებს ენას, მის ლექსიკურ შემადგენლობას. მისი შემოტანა და დამკვიდრება სალიტერატურო ენაში მისასალმებელია. თუმცა სინონიმური დიალექტიზმების შერჩევისას სილოვანს ჰქონდა თავისებური მიდგომა, კერძოდ, ის უპირატესობას ანიჭებდა იმ ენობრივ ერთეულს, რომელიც მისთვის უფრო ბუნებრივი იყო და ხმარებითა და გამოთქმით მეტი საფუძველი ექნებოდა (ს. ხუნდაძე, 1927: 35). სილოვანის ასეთი მიდგომა სრულიად მისაღებია, რადგან მაშინ ნორმის დადგენის პრინციპები არ იყო შემუშავებული, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური მიდგომით სალიტერატურო ენაში მოცილე ფორმების დაძლევა არ მოხერხდება. უნდა აღინიშნოს, რომ მოცილე ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც შეესაბამება ენის განვითარების ძირითად ხაზს, მის ბუნებრივ ტენდენციებს და პერსპექტიულია ენობრივად (ა. არაბული, 2009: 132).

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ქართულ სამწერლობო ენაში ს. ხუნდაძის მიერ ზოგიერთი სიტყვის დამკვიდრების აუცილებლობას და პრინციპს:

**თეფში – საინი:**

„რასაც ამერეთში თეფშს უწოდებენ. იმერეთში საინი ქვია. ეს სიტყვები ქართული ძირის არც ერთი არ არის – და. ჩემი აზრით, სჯობია საინი დარჩეს სამწერლო ენაში“ (ს. ხუნდაძე, 1927: 36).

**ქვიჯა, როდინი, ავანდასტი, ქვასანაყი, ფილთაქვა:**

„ქვიჯა, როდინი და ავანდასტი: – ამ სამ სიტყვაში ყველაზე ფართო გავრცელებული და ადვილად სახმარია სიტყვა ქვიჯა – და მასთან, როგორც წმინდა ქართულის ძირისა და უფრო ხშირად სახმარებელი, უმჯობესია დავსტოვოთ სიტყვა ქვასანაყი, ვიდრე ფილთაქვა“ (იქვე).

**ჭური – ქვევრი:**

„იმერეთში იხმარება სიტყვა ჭური, ამერეთში კი ქვევრი. ჭური ძველ მწერლობაში არის ნახმარი (საღვთო წერილში), მაგრამ ახალ მწერლობაში უფრო გავრცელებული სიტყვაა ქვევრი და ჯობია მწერლობაში იგი დავსტოვოთ“ (ს. ხუნდაძე, 1927: 36).

**გასაღები – კლიტე:**

„გასაღები თუ კლიტე? პირველი სიტყვის ფორმა არის მიმღეობა, ქართულ ენაში ბევრია მიმღეობა, რომელსაც სრულიად არსებითი სახელის მნიშვნელობა და სახე მიუღია. – მაგალითად: საწერელი, სახურავი, სათიბი და სხვ. სიტყვას გასაღებს კი, როგორც არსებით სახელს, დღემდე ვერ მოუპოვებია მოქალაქეობა, ასე რომ სმენას ეჩოთირება. ამასთანავე მეორე სიტყვა – კლიტე თუმცა ბერძნულია, მაგრამ დიდი ხნის გაქართულებულია, ხალხისა და მწერლობისაგან შეთვისებული და ის უნდა დარჩეს სამწერლობო ენაში. – ს.ს. ორბელიანი კლიტეს ხმარობს (ნახეთ მისი ლექსიკონი და აგრეთვე „სიბრძნე-სიცრუისა“); ასევე „ვეფხისტყაოსანშიც“ კლიტეა ნახმარი“ (იქვე).

**ძროხა – ფური:**

„ძროხა წინათ საზოგადო სახელწოდება იყო და ამბობდნენ: მამალი ძროხა, დედალი ძროხა-ო. ახლა კი ძროხა იმას ეწოდება, რასაც ამერეთში უფრო

ხშირად ფურს უწოდებენ, რადგან სახელწოდება ძროხა როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც უფრო ცნობილია. მწერლობაში ის უნდა დარჩეს“ (იქვე: 37).

**კარაული – კიცვი თუ სახედარი – ვირი:**

„საღვთო წერილში იხმარება კარაული და კიცვი, ხალხსა და მწერლობაში კი სახედარი და ვირი. საღვთო წერილის ენას ვერ შევეხებით, და სალიტურატურო ენაში კი სახელწოდება ვირი უნდა დარჩეს, როგორც ყველასაგან ცნობილი სიტყვა“ (იქვე).

**კრავი – ბატკანი:**

„სახელწოდება კრავი უფრო გავრცელებულია მწერლობასა და ხალხში, ვიდრე ბატკანი. კრავი არასწორათ იხმარება როგორც ძველ მწერლობაში (საღვთო წერილში და სხვ.), ისე ახალშიც და უმჯობესია სალიტურატურო ენაში ეს სიტყვა ვიხმაროთ“ (იქვე).

**ქვერა, ხრამული, ღლავი – მურწა, ფიჩხული, ლოქო:**

„სამწერლობო ენაში უნდა დარჩეს თევზის სახელები: წვერა, ხრამული და ღლავი, წინააღმდეგ სიტყვებისა: მურწა, ფიჩხული და ლოქო. რადგან ხმარებითაც და კეთილზოვანებითაც უპირატესობა იმათ ეკუთვნის“ (იქვე).

**მუდო (მუდუ), თხუნელა, ფუღუ:**

„მუდო, თხუნელა, ფუღუ – ამ სამ სახელწოდებაში მუდო უნდა დარჩეს, როგორც ადვილად სახმარებელი სიტყვა“ (იქვე).

**აღუბალი – ქვიშნა:**

„ამერეთში რომ ხალხი აღუბალს უწოდებს, იმერეთში ქვიშნას უწოდებენ (თათრული სახელწოდებაა). მწერლობაში უფრო ხშირად აღუბალია შემოდებული და ესევე დარჩება“ (იქვე).

**კომში – ბია:**

„სახელწოდება ბია უფრო გავრცელებულია ხალხში, ვიდრე კომში, როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც (იმერეთში ხალხმა არ იცის, რა არის კომში, ამერეთში კი სახელწოდება ბია ბევრგან არის ცნობილი). მწერლობაში თანასწორათ იხმარება ორივე სიტყვა და რადგან კეთილზოვანებითაც ორივე თანსაწორია, მწერლობაში ის უნდა დარჩეს, რომელიც უფრო გავრცელებულია, ე. ი. ბია“ (იქვე).

**ბჟოლა – თუთა, თხმელა – მურყანი, კობიტი – იფნი:**

„იმერეთში იციან სახელწოდებანი ბჟოლა, თხმელა, კობიტი, – ამერეთში კი ამათ ეწოდებათ თუთა, მურყანი, იფნი, მაგრამ რადგან ამ მცენარეთა სამშობლო უფრო იმერეთია, ვიდრე ამერეთი, და იმერული ტერმინები უფრო გავრცელებული, ამიტომ მწერლობაში უმჯობესია საერთოდ ბჟოლა, თხმელა, კობიტი ვიხმაროთ“ (იქვე).

**კაკალი – ნიგოზი:**

„კაკალი თუ ნიგოზი? ამერეთში იციან კაკალი. იმერეთში კი – ნიგოზი. კაკალი კიდევ ხეხილის მომსხო ნაყოფებს ეწოდება: ერთი კაკალი ატამი, ხუთი კაკალი ქლიავი ამასთან. სახელწოდება ნიგოზი ხალხში უფრო გავრცელებულია და მწერლობაშიც ის დავსტოვოთ“ (იქვე: 38).

**საზამთრო – ხაბურზაკი:**

„საზამთრო თუ ხაბურზაკი? სახელწოდება საზამთრო სრულიად არ შეეფერება ზაფხულში მოსავალ ნაყოფს და რადგან ეს ხილი აზიიდან არის

შემოსული, მწერლობაში იქაურივე სახელწოდება ხაბურზაკი სჯობია დავსტოვოთ“ (იქვე).

#### **ჭაჭა – თირკმელი:**

„იმერეთში რომ ჭაჭას უწოდებენ, ამერეთში თირკმელს უწოდებენ. მართალია, ახალ მწერლობაში პირველი სახელწოდება თითქმის უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე მეორე. მაგრამ თირკმელს ის უპირატესობა აქვს, რომ მართო ერთ საგანს აღნიშნავს, სხვა მნიშვნელობა არ აქვს (ჭაჭა კი ყურძნის ნაწურსაც ეწოდება), ამიტომ მწერლობაში თირკმელი უნდა დარჩეს“ (იქვე).

#### **ჩანჩქერი – ჩახრიალა:**

„ტყუილად აუზირდნენ სიტყვას ჩანჩქერი და მწერლობას ახალი სახელები მიაწოდეს, მაგალითად ჩახრიალა და სხვ. სიტყვა ჩანჩქერი ხალხურიცაა და გამოთქმითაც თავისი შინაარსის კარგად დამახასიათებელი, მასთან იმდენადაც გავრცელებულია, რომ ახლა მისი გამოცვლა, საჭიროც რომ იყოს, ძალიან გაჭირდება“ (იქვე: 38-39).

#### **ბულბული – იადონი:**

„სიტყვა ბულბულის მაგიერ ძველ მწერლობაში იადონი იხმარებოდა. ხალხში ამ ფრინველს დღესაც აქა-იქ (მაგალითად გურიაში) გაიდონას უწოდებენ (ბერძნული სიტყვა ჰაიდონიდან), მაგრამ სახელწოდება ბულბული ხალხსა და მწერლობაში იმდენათ გავრცელებულია, რომ მისი განდევნა შეუძლებელია, და არც საჭიროა, რადგან ბულბული ძალიან კეთილშოვნანი სიტყვაა. ს.ს. ორბელიანი იადონს უწოდებს იმ მგალობელ ფრინველს, რომელსაც რუსები „კანარეიკას“ უწოდებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ამნაირათ სიტყვის აზრის შეცვლა მეტისმეტი თვითნებობა იქნება. „კანარეიკას“, როგორც უცხო ქვეყნის ფრინველს, ჩვენში ვერ იცნობენ და მაშასადამე, არც სახელი ექნებოდა ხალხში. დღეს შეიძლება რაიმე ახალი, განსხვავებული სახელი ვუწოდოთ მას, ძველი სახელის გადასხვაფერება კი ისტორიის შებღალვათ ჩაითვლება“ (იქვე: 39).

#### **ასანთი – წუმწუმა:**

„ძველათ წუმწუმა ან წუნწუმა გოგირდის სანათს ან პირდაპირ გოგირდს ნიშნავდა და ეს ცნება განსხვავებულია იმისგან, რასაც დღეს ფრანგები „allumette“-ს, რუსები კი „სპიჩკას“ უწოდებენ ახალი ტერმინი ასანთი ფრანგულის მსგავსად არის ნაწარმოები და თავის ფორმითაც ხალხში ადვილი გასავრცელებელია“ (იქვე: 40).

#### **კანდელი – შუქურა:**

„ზღვის სანათურის აღსანიშნავად ქართულად ჯერ კანდელი შემოიღეს, ხოლო დღეს შუქურას უწოდებენ. შუქურა ლამაზი სიტყვაა, მაგრამ იგი ჩვენს პოეზიაში ხშირათ სხვა ცნების გამოსახატავათ იხმარება (შუქურა ვარსკვლავო) და მე მგონია, ზევით აღნიშნული ცნების ტერმინათ კანდელი სჯობია დავტოვოთ“ (იქვე).

#### **ყარანდაში – ფანქარი:**

„ორივე სახელწოდება უცხო ენის ძირისაა, მაგრამ ფანქარი დღემდე ხალხისთვის გაუგებარია და სჯობია ყარანდაში მივიღოთ (და არა ყარანდაში, რადგან რუსებს კ-ანითი იმიტომ შემოუღიათ, რომ ბგერა ყ არ აქვთ და ყარა კი ოსმალური ყ-არით გამოითქმის და შავსა ნიშნავს)“ (იქვე: 41).

**თუთუნი – თამბაქო:**

„ერთი ოსმალური სიტყვაა, მეორე ევროპული ძირისა, ჩემი აზრით, ხალხში ორივე სიტყვა ერთნაირათაა გავრცელებელი, მაგრამ თამბაქოს ინტერნაციონალური ხასიათი აქვს და გამოთქმითაც უფრო შნოიანია და შესაძლოა საერთოს ის მივიღოთ“ (იქვე).

საყურადღებოა სინონიმურ დიალექტიზმებთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი სილოვან ხუნდაძისეული მსჯელობა. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის ხედვა უმეტესწილად გამართლებული (მისაღები) აღმოჩნდა, რადგან ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა მის მიერ შერჩეული ლექსიკური ერთეულები (როგორებიცაა: ქვიჯა, ქვასანაყი, ქვევრი, ძროხა, სახედარი, ვირი, წვერა, ხრამული, ღლავი, თხუნელა, ნიგოზი, თირკმელი, ჩანჩქერი, ბულბული, ასანთი, კანდელი, თამბაქო). მხოლოდ ერთეული სიტყვები არ მიიღო ქართულმა სალიტერატურო ენამ.

**გამოყენებული ლიტერატურა**

- ა. არაბული, 2009 – ა. არაბული, ქართული ეროვნული ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ტ. I, 2009.  
 არნ. ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.  
 ზ. ჭუმბურიძე, 2009 – ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენის ხალხურობისთვის, ქართული ენა და ლიტერატურა, ტ. I, 2009.  
 ს. ხუნდაძე, 1927 – ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927.

**SOPIO TKESHIELASHVILI****SILOVAN KHUNDADZE ON DIALECT VOCABULARY**

When selecting synonymous dialectisms extreme caution must be exercised. No words should easily be vanishing from use. Many of them would serve the literary language, will become an active part of the lexis and enrich its depths.

Silovan Khundadze, the famous Georgian linguist had an immense role in the use of synonymous dialectisms. As he believed, dialectisms enrich the language and its lexis. By introducing and applying them the literary language develops and becomes cultivated.

It should be noted that the remarkable scholar's opinion has become acceptable following the wide use of his favoured lexical units in the Georgian literary language (such as *kvija* (mortar), *kvasanaqi* (pestle), *kvevri* (wine-jar), *šro'a* (cow), *sa'edari* (donkey), *vir* (ass), *vera* (barbell fish), *ramuli* (Khrami-river carp), *plavica* (catfish), *t'unela* (mole), *nigozi* (walnut), *tirkmeli* (Kidney), *ankeri* (waterfall), *bulbuli* (nightingale), *asanti* (match), *kandeli* (icon-lamp), *tambako* (tobacco)). Only few other words were rejected by the Georgian literary language.